პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 264 (9424) | ხუთშაბათი, 6 ნოემბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიდ კავშირს — ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და დიდ ბურჯს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის ურყევ დასაყრდენს!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან.

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

ლენინ—სტალინის დიადი პარტიის დროშით

ხვალ, 7 ნოემბერს, საბჭოთა ხალხი, მთელი მსოფლიოს მშრომელები იდღესასწაულებენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავს. ყოველ წელიწადს ამ სასიხარულო დღეს გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის მშრომელები, ევროპისა და აზიის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და მთელი მსოფლიოს მშრომელები აჯამებენ თავიანთი გმირული შრომისა და ბრძოლის შესანიშნავ შედეგებს, სახავენ ახალ საბრძოლო ამოცანებს მთელ მსოფლიოში კომუნიზმის ზეიმის მოსაახლოებლად.

ოცდათხუთმეტი წლის წინათ ჩვენს ქვეყანაში გამარჯვებულმა ოქტომბრის რევოლუციამ მოახდინა ძირეული გარდატეხა კაცობრიობის ისტორიაში, გაარღვია მსოფლიო იმპერიალიზმის ფრონტი, დაამხო მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობა რუსეთში და ხელისუფლების სათავეში ჩააყენა მუშათა კლასი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად პროლეტარიატი პირველად კაცობრიობის ისტორიაში ამაღლდა გაბატონებული, მმართველი კლასის მდგომარეობამდე, რაც აღმაფრთოვანებელი მაგალითია ყველა ქვეყნის პროლეტარებისათვის.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელიც მომზადდა და განხორციელდა სახელოვანი ლენინ—სტალინის პარტიის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადებისა და ბრძენი მასწავლებლების — ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით, დასაწყისი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში, სოციალისტური რევოლუციების ერას, კაპიტალიზმის დამხობისა და სოციალიზმის გამარჯვების ერას. დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ უზრუნველყო ყველა ფორმის ექსპლოატაციის, ყველა სახის კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრის მოსპობა, წარმოშვა ყველა იმ სისტემაზე განუზომლად უფრო სრულყოფილი ახალი საზოგადოებრივი სისტემა, რომელიც კი კაცობრიობას ახსოვს.

დიდი ოქტომბრით შობილი საბჭოთა წყობილების მეოხებით, ლენინ—სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ქვეყანამ მოკლე ისტორიულ ვადაში აღმოფხვრა თავისი სამეურნეო და კულტურული ჩამორჩენილობა და მთელ მსოფლიოში ყველაზე მძლავრი ინდუსტრიისა და მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობის სახელმწიფოდ გადაიქცა. საბჭოთა წყობილების გამარჯვებამ ჩვენს ხალხს მიანიჭა არა მარტო თავისუფლება, არამედ მატერიალური სიკეთეც, შეუქმნა მას შეძლებული და კულტურული ცხოვრების შესაძლებლობა. სამი არასრული ხუთწლედის შედეგად საბჭოთა ქვეყანაში აშენდა სოციალისტური საზოგადოება. პარტიის XVIII ყრილობაზე, შეაჯამა რა საბჭოთა ხალხის მიერ განვლილი გზა და მოპოვებული ისტორიული გამარჯვებანი, დიდმა სტალინმა დაგვიხატა სოციალისტური საზოგადოების აშენების დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პროგრამა.

მაგრამ საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა შეწყვეტილ იქნა ჩვენს ქვეყანაზე ფაშისტური გერმანიის ვერაგული თავდასხმის შედეგად. როცა ჩვენს ქვეყანას თავს ესხმოდნენ, გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს იმედი ჰქონდათ, რომ საბჭოთა წყობილება მტკიცე არ აღმოჩნდებოდა და მას ადვილად დაამარცხებდნენ. მაგრამ ომმა გააჭარწყლა მტრის ეს ვარაუდი. ოქტომბრის რევოლუციით შობილმა საბჭოთა ქვეყანამ არათუ გაუძლო მტრის დარტყმას, არამედ სასტიკადაც გაანადგურა იგი. ჩვენი გმირული პარტიის, გენიალური ბელადისა და მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა დაიცვა ჩვენი სამშობლოს ღირსება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ფაშიზმის მონობისაგან გაათავისუფლა ევროპის ხალხები, იხსნა მსოფლიოს ცივილიზაცია ფაშისტთა მიერ შუასაუკუნეობრივი დარბევისაგან. ომის მკაცრ დღეებში გამოვლინდა საბჭოთა ადამიანების შესანიშნავი თვისებები, რომლებიც ლენინ—სტალინის პარტიამ ჩაუნერგა მათ — მამაცობა, გულადობა, მზადყოფნა ჩვენი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. საბჭოთა ხალხმა ომში სამართლიანად მოიხვეჭა გმირი ხალხის სახელი.

დიდმა სამამულო ომმა და მშვიდობიანი განვითარების შემდგომმა წლებმა ერთხელ კიდევ დაადასტურეს, რომ საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილება საზოგადოების ორგანიზაციის ყველაზე საუკეთესო ფორმაა, რომ საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილება მრავალეროვანი სახელმწიფოს ნიმუშს წარმოადგენს. სამამულო ომმა ცხადყო საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის, საბჭოთა პატრიოტიზმის დიადი, უძლეველი ძალა.

ომისშემდგომ პერიოდში მშვიდობიანი მშენებლობის ფრონტზე საბჭოთა ხალხის შესანიშნავი წარმატებანი კვლავ უჩვენებენ მთელ მსოფლიოს საბჭოთა წყობილების ძლიერებას, მის განუზომელ უპირატესობას კაპიტალისტურ წყობილებასთან შედარებით. ომისშემდგომი ხუთწლედის წარმატებით შესრულების შედეგად საბჭოთა ხალხმა მოკლე ხანში არა მარტო აღადგინა ომისწინადროინდელი დონე სახალხო მეურნეობაში, არამედ მნიშვნელოვნადაც გადააჭარბა მას. ომისშემდგომი მშვიდობიანი მშენებლობის წლები ჩვენი სამშობლოს ისტორიაში შევა როგორც კომუნიზმის გამარჯვებისათვის საბჭოთა ხალხის თავდადებული ბრძოლის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ფურცელი.

ლენინ—სტალინის დიადი პარტიის XIX ყრილობამ შეაჯამა საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი და პარტიას, მთელ საბჭოთა ხალხს დაუსახა ახალი ამოცანები. ყრილობის მიერ მიღებული პარტიის ახალი წესდება და დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა ხალხს უსახავს კომუნიზმის გზით შემდგომი წინსვლის პერსპექტივებს. მეხუთე სტალინური ხუთწლედის წარმატებით შესრულება ახალი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში. ამიტომ მიიღო ახალი ხუთწლედი საბჭოთა ხალხმა თავის სასიცოცხლო საქმედ და აქედანვე გააჩაღა მასობრივი სოციალისტური შეჯიბრება მისი ვადამდე შესრულებისათვის.

„საბჭოთა ეკონომიკის მშვიდობიანი განვითარება, რასაც ხუთწლიანი გეგმა სახავს, — ნათქვამია პარტიის XIX ყრილობის დირექტივებში, — უპირდაპირდება კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკას, რომლებიც მიდიან სახალხო მეურნეობის მილიტარიზაციის, კაპიტალისტებისათვის უდიდესი მოგების მიღებისა და მშრომელთა შემდგომი გაღატაკების გზით“.

მთელი საბჭოთა ხალხისათვის, საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს XIX ყრილობის წინა დღეებში გამოქვეყნებულ დიდი სტალინის ნაშრომს „სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში“ და გამოსვლას ყრილობის დასკვნით სხდომაზე. ამხანაგ სტალინის მიერ თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონისა და სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის აღმოჩენა და დასაბუთება ახალი უდიდესი წვლილია მარქსიზმ - ლენინიზმის განვითარების საქმეში. თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის მთავარი ნიშნები და მოთხოვნებია, გვასწავლის ამხანაგი სტალინი, მაქსიმალური კაპიტალისტური მოგების უზრუნველყოფა მოცემული ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ექსპლოატაციის, გაჩანაგებისა და გაღატაკების გზით, სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით ჩამორჩენილი ქვეყნების ხალხთა დამონებისა და სისტემატური გაძარცვის გზით, ომებისა და სახალხო მეურნეობის მილიტარიზაციის გზით, რასაც იყენებენ უდიდეს მოგებათა უზრუნველყოფისათვის.

წინააღმდეგ კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონისა, გვასწავლის ამხანაგი სტალინი, სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის არსებითი ნიშნები და მოთხოვნებია: „მთელი საზოგადოების მუდმივ მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და გაუმჯობესების გზით“. საბჭოთა ქვეყანაში წარმოების სოციალისტური წესის მიზანია არა მოგება, არამედ ადამიანი და მისი მოთხოვნილებანი, საბჭოთა ადამიანის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ამაში ნათლად მოჩანს ჩვენი სოციალისტური საზოგადოების სიდიადე.

მაშინ, როცა საბჭოთა კავშირში უდიდესი მასშტაბით გაჩაღებულია გრანდიოზულ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობა ვოლგასა და დნეპრზე, დონსა და ამუ-დარიაზე, მწყობრში ჩადგა ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხი — კომუნიზმის დიად მშენებლობათა პირმშო, წარმატებით წყდება კომუნიზმის მშენებლობის ამოცანები, კაპიტალის ქვეყნებში სულ უფრო ჩაღდება გამალებული შეიარაღება, იკვეცება სამოქალაქო მშენებლობა, იზრდება უმუშევრობა, მილიონობით მშრომელი განიცდის სიღატაკითა და შიმშილით ტანჯვას.

საბჭოთა ხალხის ახალი და ახალი გამარჯვებანი, ყოველი წარმატება სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა, რომლებიც მტკიცედ დადგნენ სოციალიზმის გზაზე, ცოფსა ჰგვრის ამერიკელ-ინგლისელ იმპერიალისტებს. მათ აცოფებთ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალთა ზრდა მთელ მსოფლიოში და ახალი ომისაკენ მიისწრაფვიან საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. იმპერიალისტები ომით იმუქრებიან. მათ სურთ ახალი ომით დააშინონ ხალხები. „მაგრამ თუ ვინმეს უნდა ეშინოდეს ახალი ომის შედეგებისა, უნდა ეშინოდეთ უწინარეს ყოვლისა ამერიკისა და სხვა ბურჟუაზიული ქვეყნების კაპიტალისტებს, რადგან ახალი ომი ხალხთა წინაშე დააყენებს საკითხს იმის შესახებ, თუ რაოდენ მავნეა კაპიტალისტური წყობილება, რომელსაც არ შეუძლია არსებობა, თუ არ წარმოებს ომი, დააყენებს საკითხს, რომ საჭიროა ეს სისხლიანი წყობილება შეიცვალოს სხვა, სოციალისტური წყობილებით“. (ლ. ბერია).

რაც უფრო გადის დრო, მით უფრო მეტ ძალებს იძენს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკი, იგი უძლეველია, რადგან მას სათავეში უდგას საბჭოთა ქვეყანა, რადგან მას ხელმძღვანელობს მშვიდობის დიდი მედროშე ამხანაგი სტალინი.

ურყევი სიმშვიდით, მომავლის მტკიცე რწმენით განაგრძობს შემოქმედებითს შრომას საბჭოთა ხალხი. ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილ წინსვლას კომუნიზმისაკენ.

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავს!

ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

ქართველ მეჯალურგთა ქალაქში

მეფოლადეები სტახანოვურ ვახტზე

სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს კოლექტივი განსაკუთრებული მონდომებითა და ენერგიით შრომობს დიდი ოქტომბრის დღესასწაულის წინა დღეებში.

ნოემბრის პირველი რიცხვებიდანვე ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები აქვს იმ ღუმელს, რომელსაც მომსახურებას უწევენ მეფოლადეები გ. ბერეკაშვილი, ი. სამცოვი და პ. გრეჩეხინი. წარჩინებულმა მეფოლადეებმა მიმდინარე თვის განვლილ დღეებში მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს საწარმოო დავალება და გეგმის გადამეტებით გამოადნეს ასობით ტონა ფოლადი.

ცნობილმა ნოვატორმა მეფოლადე შ. კუხალეიშვილმა პირველ ნოემბერს ფოლადის დნობა 7 საათსა და 45 წუთში განახორციელა და ნორმის გადამეტებით 18 ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ფოლადი გამოადნო.

ენერგეტიკოსთა წვლილი

მეტალურგიული ქარხნის თბოელექტროცენტრალის ენერგეტიკოსებმა ელექტროენერგიის გამომუშავების თვიური საგეგმო დავალება 26 ოქტომბრისათვის შეასრულეს და გეგმის გადამეტებით ასეულ ათასობით კილოვატსაათი ელექტროენერგია გამოიმუშავეს, დაზოგეს 30 ტონა საწვავი და საკუთარ მოხმარებაზე გასწიეს 25 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგიის ეკონომია.

მგლინავთა შრომითი მიღწევები

— მივცეთ სამშობლოს მეტი და მაღალხარისხოვანი ნაგლინი—ასეთი გადაწყვეტილებით ჩაებნენ საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეტალურგიული ქარხნის მილნამზადის საამქროს მგლინავები.

ნოემბრის პირველი ხუთდღიურის მაჩვენებლები მეტყველებენ იმ უდიდეს მისწრაფებაზე, რასაც ახალგაზრდა მეტალურგები ამ გადაწყვეტილების განხორციელებისათვის იჩენენ.

საამქროს მოწინავე ცვლამ, რომლის ოპერატორებია სახელოვანი მგლინავები ვ. კერვალიძე და ა. ჯაჯანიძე, ნოემბრის განვლილ 4 დღეში გეგმის გადამეტებით გაგლინა 46,5 ტონა ფოლადი.

კეთილმოწყობილი ბინები მეტალურგებს

მეტალურგმშენის ტრესტის საბინაო მშენებლობის სამმართველოს კოლექტივმა ძვირფასი შრომითი საჩუქარი მიუძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავს. მაღალნაყოფიერი მუშაობით ბინათმშენებლებმა საოქტომბრო დღესასწაულის წინ — 5 ნოემბერს ქართველ მეტალურგებს გადასცეს 3.100 კვადრატული მეტრი საერთო ფართობის 6 კეთილმოწყობილი სახლი და თითქმის ორი თვით ადრე შეასრულეს საცხოვრებელი ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემის წლიური გეგმა.

საქართველოს სსრ რესპუბლიკამ საკოლმეურნეო-გლეხურ სექტორში შეასრულა ციტრუსოვანი კულტურების გაშენების წლიური გეგმა

საქართველოს სსრ რესპუბლიკამ საკოლმეურნეო-გლეხურ სექტორში 1 ნოემბრისათვის 100,3 პროცენტით შეასრულა ციტრუსოვანი კულტურების გაშენების წლიური გეგმა.

ციტრუსოვანი კულტურების გაშენება გრძელდება.

ქუთაისის ოლქმა შეასრულა სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარების წლიური გეგმა

ქუთაისის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1 ნოემბრისათვის 100 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარების წლიური გეგმა.

ყურძნის ჩაბარება გრძელდება.

ორთაჭალჯესის მშენებელთა მორიგი გამარჯვება

დიდი წარმატებით იმუშავა ორთაჭალჯესის მშენებელთა კოლექტივმა განვლილ მესამე კვარტალში — სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა შეასრულა 111,7 პროცენტით, სამუშაოთა თვითღირებულება შეამცირა 6,6 პროცენტით, სახელმწიფოს ერთ მილიონზე მეტი მანეთი ეკონომია მისცა და მუშა-მშენებლის საშუალო გამოუშავება 125 პროცენტამდე გაზარდა.

ამას წინათ მშენებლებმა მოსკოვიდან მიიღეს ცნობა, რომ მესამე კვარტალში მოპოვებული ასეთი მაღალი მაჩვენებლებისათვის ორთაჭალჰესის მშენებელთა კოლექტივი აღიარებულია საბჭოთა კავშირის ელექტროსადგურთა მშენებლებს შორის გამართულ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად, მათ მეექვსედ მიეკუთვნათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია 118.000 მანეთის რაოდენობით.

ამ ცნობამ მშენებლებში ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. მშენებლებმა იკისრეს არ შეანელონ მუშაობის ტემპი, უზრუნველყონ შემდგომში უფრო უკეთესი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვება.

სტალინური პრემიის ლაურეატებს გადაეცათ დიპლომები და საპატიო ნიშნები

4 ნოემბერს მოსკოვში დიპლომები და საპატიო ნიშნები გადაეცა სტალინური პრემიის ლაურეატების დიდ ჯგუფს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგში სტალინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე აკადემიკოსი ა. ნ. ნესმეიანოვი ლაურეატებს მიესალმა და თქვა:

— სტალინური პრემიების ყოველწლიური მიკუთვნება მკაფიოდ მოწმობს მოწინავე საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის შესანიშნავ წარმატებებს, რაც მიღწეულია ლენინ—სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით. სტალინური პრემიის ლაურეატები — მეცნიერები, ინჟინრები, კონსტრუქტორები, სტახანოველები, მოწინავე კოლმეურნეები წინ ეწევიან ტექნიკას, მეცნიერული აზრის ახალ მწვერვალებს იპყრობენ.

აკადემიკოსმა ნესმეიანოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებანი საბჭოთა ადამიანებს, მოწინავე მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწეებს აღფრთოვანებენ ეკონომიკისა და კულტურის ახალი აღმავლობისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

გუშინ სტალინური პრემიის ლაურეატის დიპლომები და საპატიო ნიშნები გადაეცათ მეცნიერებს, ახალი მანქანების კონსტრუქტორებს, მრეწველობის მუშაკებს, მოსკოვის საწარმოთა ნოვატორებს. (საკდესი).

ბოროზი ცილისწამებისათვის — სასჯელ პასუხისგებაში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოარკვია, რომ სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს „გლავხიმსბიტის“ საქართველოს კანტორის მმართველი რ. მ. რუსია ხელმძღვანელ პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებში გზავნიდა ბოროტი ცილისმწამებლური ხასიათის ანონიმურ წერილებსა და განცხადებებს.

დამტკიცებულია, რომ რუსია ამას სჩადიოდა ანტისაბჭოთა მიზნით.

ამისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ რუსია მოხსნა თანამდებობიდან, გარიცხა პარტიიდან და მასალები მის შესახებ გადასცა საგამომძიებლო ორგანოებს.

* * *

რუსია მიცემულია სისხლის სამართალში.

თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება

4 ნოემბერს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში შედგა თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება. კრებამ მოისმინა და განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ა. ი. **მგელაძის** მოხსენება პარტიის XIX ყრილობის შედეგების შესახებ.

— ჩვენი პარტიის XIX ყრილობა, — ამბობს ამხ. მგელაძე, — თვალსაჩინო ადგილს დაიკავებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გმირულ ისტორიაში.

შეიკრიბა რა იმ პირობებში, როცა საბჭოთა ხალხი ახორციელებს თანდათანობითს გადასვლას სოციალიზმიდან კომუნიზმში, ყრილობამ შეაჯამა პარტიის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული ბრძოლისა და მოპოვებული გამარჯვებების შედეგები და განსაზღვრა ჩვენი შემდგომი წინსვლის პერსპექტივები.

ყრილობამ მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყო, თუ რამდენად გაიზარდა და განმტკიცდა გამარჯვებული სოციალიზმის სამშობლოს — საბჭოთა კავშირის ძალები. ყრილობა იყო მკაფიო დემონსტრაცია პარტიის რიგების ურღვევი ერთიანობისა, ჩვენი პარტიის, ჩვენი ხალხის უდიდესი ნდობისა სტალინური ხელმძღვანელობისადმი, დემონსტრაცია პარტიის დარაზმულობისა ცენტრალური კომიტეტის გარშემო, მგზნებარე სიყვარულისა და უსაზღვრო ერთგულებისა ჩვენი დიდი ბელადის, მასწავლებლისა და მხედართმთავრის ამხანაგ სტალინისადმი.

ამ სიტყვებს კრების მონაწილენი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან. ყველანი ფეხზე დგებიან.

— ყრილობის გადაწყვეტილებანი,— ამბობს მომხსენებელი, — რომლებსაც საფუძვლად დაედო ამხანაგ სტალინის მოძღვრება ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების შესახებ, შემდგომი ბრძოლის დიადი პროგრამაა, რომელიც საბჭოთა ადამიანებს აღაფრთოვანებს თავდადებული შრომისათვის ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის სრული გამარჯვების მისაღწევად და ყველა ქვეყნის მშრომელებს აღაფრთოვანებს ხალხთა შორის მშვიდობისათვის, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ყოველ დღეს მოაქვს ცნობები, რომლებიც ადასტურებენ საერთაშორისო მდგომარეობის იმ ანალიზის სისწორეს, რომელიც მოცემულია ჩვენი პარტიის XIX ყრილობისადმი ამხ. გ. მ. მალენკოვის საანგარიშო მოხსენებაში ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ. საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარული ლენინურ-სტალინური პოლიტიკა ხვდებოდა და ხვდება მთელი მსოფლიოს ხალხთა მასების სრულ მხარდაჭერას, რადგან იგი შეესაბამება არა მარტო საბჭოთა ხალხის ინტერესებს, არამედ თანხვდება მთელი მშრომელი კაცობრიობის ძირითად, საარსებო ინტერესებსაც.

ლაპარაკობს რა საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, მომხსენებელი ეხება თურქეთის მთავრობის პოლიტიკას. მშრომელი თურქი ხალხი გასაჭირში იმყოფება. თურქეთში ათეულ ათასობით ადამიანი შიმშილით იღუპება. თურქეთის ახლანდელმა მმართველმა წრეებმა ულალატეს თავიანთი ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს და თურქეთი ამერიკის იმპერიალიზმის განკარგულებაში გადასცეს. თურქ ხალხს ახლა სასტიკ ექსპლოატაციას უწევენ როგორც საკუთარი ბურჟუაზია, ისე ამერიკელი იმპერიალისტები — მილიარდერები და მილიონერები.

ამერიკის იმპერიალიზმი არა მარტო სიმდიდრეს ართმევს თურქეთს, არამედ ამასთანავე განიხილავს მას როგორც თავის სამხედრო ბაზას, როგორც ტრამპლინს საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად. ამიტომ თურქეთში უდიდესი სამხედრო მშენებლობა ხორციელდება. თურქეთი თავისი მიუჯიტის 60 პროცენტზე მიტს, ვაშინგტონის ბრძანებით, შეიარაღებაზე ხარჯავს. თურქეთის ოაზვერვა ამერიკელი იმპერიალისტების დავალებებს ასრულებს. ფიცხი ამერიკელი გენერლები და ადმირალები დაძრწიან თურქეთში, ინსპექტირებას უწევენ მის საზღვრებს ლა, ცხადია, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირთურქეთის საზღვარს. როგორც ჩანს, ყოველივე ამას მიზნად აქვს სამხედრო ისტერიის გაჩაღება.

ფაქტიურად თურქეთს ამერიკელები განაგებენ. თურქეთის მბრძანებელია ამერიკის ელჩი და თურქეთში ამერიკის მუდმივი სამხედრო მისიის მეთაური, მისიისა, რომელშიც, სხვათა შორის, 1.250-ზე მეტი კაცი ირიცხება. თურქეთის სახელმწიფო მანქანის მთელი მექანიზმი უსიტყვოდ დაყენებულია ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიული მიზნების სამსახურში. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, მძიმე ტვირთად აწვება მშრომელ თურქ ხალხს.

ასეთია თურქეთი მისი ახლანდელი ვაი-მმართველების მეთაურობით, რომლებიც ღალატობენ და ჰყიდიან თავიანთი ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს.

მაგრამ არის სხვა თურქეთიც. ნაზიმ ჰიქმეთის თურქეთი, მუშების, მშრომელი გლეხობისა და პროგრესული ინტელიგენციის თურქეთი, რომელიც ეწევა ბრძოლას თავისი სუვერენიტეტისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, თავისი ნაოილი მომავლისათვის. ეს ძალები უკვე ახლა საგრძნობია, ისინი ვითარდებიან და მთლიანად გაიშლებიან, და მაშინ დადგება ჟამი სამაგიეროს მიზღვისა იმათთვის, ვინც ახლა დოლარებზე ასე ციხიკურად ჰყიდის თურქეთის ეროვნულ სუვერენიტეტს.

უეჭველია, რომ თურქი ხალხი თავს არ გააბრიყვებინებს ომის გამჩაღებლებს.

— ყრილობაზე, — თქვა შემდეგ ამხ. მგელაძემ, — ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა დიდი სტალინის ერთ-ერთმა უახლოესმა თანამებრძოლმა, ჩვენმა მეგობარმა და აღმზრდელმა ლავრენტი პავლეს-ძე ბერიამ. მან დახატა იმის მკაფიო სურათი, თუ რა წარმატებებს მიაღწიეს შუა აზიის, ბალტიისპირეთისა და ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებმა, აგრეთვე უკრაინამ და ბელორუსიამ. ჩვენმა ყოველმა საბჭოთა რესპუბლიკამ, რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიან ოჯახში იმყოფება და ახლა წარმატებით ახორციელებს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიად პროგრამას, ჯერ კიდევ 30 წელზე მეტი ხნის წინათ უკან მოიტოვა თურქეთი, სადაც ხელისუფლების სათავეში კაპიტალისტები და ბეგები დგანან.

ომისშემდგომ წლებში საბჭოთა ხალხმა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით უდიდეს წარმატებებს მიაღწია ჩვენი ქვეყნის მრეწველობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების საქმეში. მნიშვნელოვნად გაიზარდა წარმოების საშუალებათა წარმოება.

ლაპარაკობს რა XIX ყრილობის დირექტივებზე მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ახალ ხუთწლედში დიდად განვითარდება საქართველოს მძიმე ინდუსტრია. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში კაპიტალდაბანდებათა საერთო ოოცულობა 2,3-ჯერ გადააჭარბებს მეოთხე ხუთწლედის კაპიტალდაბანდებათა მოცულობას. სამრეწველო წარმოება საქართველოს სს რესპუბლიკაში ხუთწლედის მანძილზე 74,2 პროცენტით გაიზრდება.

თბილისში სამრეწველო წარმოების მოცულობა მნიშვნელოვნად იზრდება და მას კვლავ წამყვანი ადგილი ეკავება საქართველოს მრეწველობაში.

ერთი მხრივ მძიმე ინდუსტრიისა და მეორე მხრივ სოფლის მეურნეობის განვითარება მეხუთე ხუთწლედში უზრუნველყოფს მასობრივი მოხმარების საქონლის წარმოების ზრდის სწრაფ ტემპს.

სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის რესურსების გადიდების შესაბამისად განხორციელდება ამ ნედლეულის მომზადებელი კვებისა და მსუბუქი მრეწველობის დიდ საწარმოთა მშენებლობა.

მნიშვნელოვნად ფართოვდება ფართო მოხმარების საქონლის, სოოჯახო და სამეურნეო საგნების, საშენი მასალების წარმოება ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებში.

— ამ ამოცანებთან დაკავშირებით,— ხაზგასმით აღნიშნავს ამხ. მგელაძე, — უნდა ითქვას, რომ კვების, მსუბუქი, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროებმა მნიშვნელოვნად უნდა გააუმჯობესონ მუშაობა და გამოიშვან მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქცია.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემა, ამბობს შემდეგ მომხსენებელი, ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ. ვაჭრობის მინისტრმა ამხ. ხანთაძემ მტკიცედ უნდა მოჰკიდოს ხელი საქმეს და ვაჭრობა ისე დააყენოს, რომ დაკმაყოფილოს მომხმარებლის გაზრდილი მოთხოვნილებანი.

ჩვენ კვლავაც ყოველმხრივ უნდა განვამტკიცოთ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა. პარტიისა და სახელმწიფოს ინტერესებს ყველაფერზე მაღლა უნდა ვაყენებდეთ. კომუნისტი ყველგან და ყველაფერში უნდა იდგეს პარტიისა და სახელმწიფოს ინტერესების სადარაჯოზე, იჩენდეს ინიციატივას, მას უნარი უნდა ჰქონდეს შეამჩნიოს მუშაობის ნაკლოვანებანი და გადაჭრით აღმოფხვრას ისინი.

სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ არიან ისეთი მუშაკები, რომლებიც მალავენ სიმართლეს მათს გამაჯანსაღებელ მუოოო საწარმოებსა და დაწესებულებებში ხარვეზებზე, ეშინიათ ბრძოლა, ეშინიათ ბრალდებულებისა, ეშინიათ ბრალეულობისა, ეშინიათ ბრალეულობისა, ეშინიათ ბრალეულობ

საოქტომბრო საწარმოო საჩუქრები სამშობლოს

★

აბრეშუმის ქსოვილები გეგმის ზევით

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა მშობლიური კომუნისტური პარტიის XIX ყრილობისა და საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დღეებში ახალი წარმატებები მოიპოვა. ფეიქრებმა ოქტომბრის საწარმოო დავალება ვადაზე ადრე შეასრულეს, გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცეს 103.700 მეტრი აბრეშუმის ქსოვილი. გამოშვებული პროდუქციის 67 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

პარტიის XIX ყრილობის მიმდინარეობის პერიოდში ამუშავდა ქსოვილების მხატვრულად გამფორმებელი მექანიკური საბეჭდი მანქანა. მისი წარმადობა საათში 1.000 მეტრს უდრის. საბეჭდ მანქანასთან ერთად დადგეს ეგრეთწოდებული „გამომმჭღავნებელი“ მანქანა, რომელიც ქსოვილზე მოხატულ სურათს უფრო ცოცხალ სახეს აძლევს. ამ მანქანების ამუშავებამ საგრძნობლად გაუმჯობესა პროდუქციის ხარისხი.

ჩარხმშენებელთა საწარმოო საჩუქარი

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების ოქტომბრის დავალება. გეგმის გადამეტებით გამოუშვეს ერთი უნივერსალური სახარატო-ხრახნმჭრელი ჩარხი, რომელიც განკუთვნილია რვა მეტრამდე სიგრძის დეტალების მექანიკური დამუშავებისათვის.

ოქტომბერში აითვისეს აგრეთვე ორი ახალი მოდელის ჩარხი. პირველი ასეთი ჩარხების აწყობა ქარხნის კოლექტივმა ვადაზე ადრე, 29 ოქტომბერს დაამთავრა.

ახალი მანქანა ჩაის პლანტაციებისათვის

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დღეებში თბილისის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ქარხანაში აითვისეს ჩაის ბუჩქის მავნებელთა მომწამვლელი ნივთიერების პლანტაციებში შემტანი მანქანის წარმოება. ახალი მანქანის ათვისებაზე და მის გამოსაშვებად მუშაობდა მეორე ამწყობი საამქროს გ. ტეხმიშიანის ზეინკალთა ბრიგადა. ოქტომბერში დაამზადეს 25 ცალი ასეთი მანქანა, რომლებიც გამოსაცდელად გაეგზავნა ჩაის საბჭოთა მეურნეობებს.

მანქანის კონსტრუქტორია აგრონომი გამეზარდაშვილი.

ახალი უმაღლესი ხარისხის პაპიროსი

თამბაქოს პირველი ფაბრიკის კოლექტივი ახალი საწარმოო გამარჯვებებით ხვდება დიდი ოქტომბრის დღესასწაულს. ფაბრიკამ 10 თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, გაადიდა შრომის ნაყოფიერება, შეამცირა თვითღირებულება და მნიშვნელოვანი ფულადი ეკონომია მიიღო. მარტო ოქტომბერში გამოშვებულია 2.400 ათასი ცალი ზეგეგმითი პაპიროსი.

დიდი ოქტომბრის წინადღეებში ფაბრიკამ დაიწყო უმაღლესი ხარისხის პაპიროს „ოქტიაბრსკიეს“ გამოშვება. უკვე დამზადებულია 500 ათასი ცალი ასეთი პაპიროსი.

მექანიზატორთა წარმატება

სილნაღი. ფართოდ გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე ულიანოვკის მტს-ის მექანიზატორებმა 30 ოქტომბრისათვის 100,2 პროცენტით შეასრულეს წლიური საწარმოო გეგმა.

მტს-ის კოლექტივმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა საშემოდგომო სამუშაოები, ახალი მიწების ათვისების გეგმები.

სამუშაოთა წარმატებით შესრულებაში თავი ისახელეს სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირებმა ი. ბაიდოშვილმა, დ. ნავროზაშვილმა, ი. ბეგაშვილმა, ვ. შიტუხინმა, ლ. ჭრელაშვილმა, ი. კოჭლამაზაშვილმა, ტრაქტორისტებმა ი. ბერეკაშვილმა და ტ. ბახტურიძემ.

რუსთავი. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა. სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) წარჩინებული მეფოლადეები გ. ბერეკაშვილი, ა. ფანცულაია და შ. შუბითიძე, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ახალი წარმატებებისათვის მეცნიერებაში

ახალი, უდიდესი მიღწევებით ეგებება ჩვენი თვალუწვდენი სამშობლო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ შეაჯამა განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შედეგები და დასახა სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გრანდიოზული გეგმა. დიდი სტალინის გენიალური ნაშრომი „სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში“, რომელიც ყრილობის წინ გამოქვეყნდა, იძლევა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების მეცნიერულად დასაბუთებულ პროგრამას.

35 წლის ბრძოლისა და შრომის შედეგად ჩვენი ქვეყნის ხალხებმა დაინახეს კომუნიზმის დიდებული შენობის კონტურები. ის, რაც საუკუნეების განმავლობაში მსოფლიოს მოწინავე ადამიანების ოცნების საგანს წარმოადგენდა, ჩვენში რეალობად იქცა. ეს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვება მიღწეულია გმირული კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მთელი საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომის შედეგად, საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის, დიდი სტალინის გენიით განათებული გზით სვლის შედეგად.

საბჭოთა ადამიანს კანონიერი უფლება აქვს იამაყოს იმით, რომ ის არის მოქალაქე იმ ქვეყნისა, რომელიც მაგალითს აძლევს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, ქვეყნისა, რომელსაც იმედის თვალით შესცქერიან ყველა ქვეყნის ჩაგრული ადამიანები. სსრ კავშირი მშვიდობის საიმედო ბურჯია მთელ მსოფლიოში.

პარტიის XIX ყრილობის დავალებათა პირნათლად შესრულება თვითეული ჩვენგანისაგან მოითხოვს კიდევ უფრო მეტი ენერგიით მუშაობას. განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ მეცნიერების მუშაკებს, რომლებსაც ახალი ხუთწლედის დირექტივები ავალებს სრულად გამოიყენონ მეცნიერული ძალები სახალხო მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი საკითხების გადასაწყვეტად, მოწინავე გამოცდილების განზოგადებისათვის, მეცნიერული აღმოჩენების ფართო პრაქტიკული გამოყენების უზრუნველსაყოფად, ცოდნის ყველა დარგში თეორიული პრობლემების დასამუშავებლად, წარმოებასთან კავშირის განსამტკიცებლად.

მშობლიური პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სერიოზულ დავალებებს აძლევს გეოლოგიური დარგის მუშაკებსაც. ამ დარგში მეც მიხდება მუშაობა. ნედლეულის და სათბობის რესურსებით სახალხო მეურნეობის მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ამოცანა გვავალებს უფრო ღრმად შევისწავლოთ ჩვენი ქვეყნის წიაღის სიმდიდრენი. არა ერთი მაგალითი ვიცით სასარგებლო ნამარხების პოვნისა ისეთ ადგილას, სადაც „თეორიულად“ ასეთი რამ მოსალოდნელი არ იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს გარკვეული ყველა კანონზომიერება, რომელიც სასარგებლო ნამარხებით საბადოთა წარმოშობას განსაზღვრავს. ამიტომ, პრაქტიკული ამოცანების გადაჭრასთან ერთად, არ უნდა დავივიწყოთ დიდი თეორიული პრობლემების დამუშავებაც, როგორც ამას XIX ყრილობის დირექტივები მიგვითითებს.

საბჭოთა მეცნიერები გამოიყენებენ იმ შესანიშნავ პირობებს, რაც მათ შექმნილი აქვთ საბჭოთა მთავრობის, კომუნისტური პარტიის, პირადად დიდი სტალინის უდიდესი ზრუნვის შედეგად და სასახელოდ შეასრულებენ მათ წინაშე პარტიის XIX ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებს.

გ. ძოწენიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, სტალინური პრემიის ლაურეატი.

შემოქმედებითი შრომის სიხარული

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე ლენინ—სტალინის პარტიის, საბჭოთა მთავრობის, დიდი სტალინის მიერ დასახულია ამოცანა 1957 წლისათვის საქართველო უზრუნველყონ საკუთარი წარმოების პურით. საქართველოს კომპარტიის XV ყრილობაზე ნათლად აღინიშნა, რომ ახლანდელ ეტაპზე სოფლის მეურნეობის დარგებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია მარცვლეულის პრობლემის გადაჭრა.

კოლმეურნეებთან ერთად ჩვენ, მექანიზატორები, ენერგიულად ვმუშაობთ, რათა სასახელოდ შევასრულოთ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანები.

პარტიის XIX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, დიდი სტალინის შთამაგონებელმა სიტყვამ სოფლის მეურნეობის მუშაკები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ახალი შრომითი მამაცობისათვის აღგვაფრთოვანეს.

მტს-ის მეხუთე ბრიგადამ, სადაც მე გამსვლელ მექანიკოსად ვმუშაობ, 4 ნოემბერს გადაჭარბებით შეასრულა საშემოდგომო თესვის გეგმა, ნაცვლად 417 ჰექტარისა დათესა 451 ჰექტარი. შესრულებულია მზრალად ხვნის გეგმა. ამ საქმეში თავი გამოიჩინეს ტრაქტორისტებმა გ. გოგიჩაშვილმა, ლ. თოდაძემ, ლ. ელისაშვილმა.

მტს-ის მუშაკებმა გულდასმით განვიხილეთ წითელწყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიმართვა და ჩავებით სოციალისტურ შეჯიბრებაში მარცვლეულის პრობლემის სანმიუშად გადაჭრისათვის. რუსელმა მექანიზატორებმა ვალდებულება ავიღეთ 5.380 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე უზრუნველყოთ საშუალოდ 18 ცენტნერი ხორბლის მოყვანა.

მტს-ის მექანიზატორები ძალასა და ენერგიას არ დავიშურებთ ამ ვალდებულების მტკიცედ შესრულებისათვის.

ი. ტიტვინიძე,
ქარელის რაიონის რუსის მტს-ის გამსვლელი მექანიკოსი.

საოქტომბრო საწარმოო საჩუქრები სამშობლოს

★

ქვანახშირი მომავალი წლის ანგარიშში

ტყიბული. საოქტომბრო შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვა გელათის შახტის კოლექტივმა, რომელმაც 29 ოქტომბერს შეასრულა ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმა. ოქტომბერში მუშაობის მაჩვენებლებით შახტში ყველას გაუსწრო პ. ჩიხლაძის უბანმა. ამ უბნის მეშახტეებმა ოქტომბრის დავალება 106,1 პროცენტით შეასრულეს. შეჯიბრებაში დაწინაურდნენ დ. ტოფაძის, ნ. ალხაზიშვილის და ვ. ლომთაძის ცვლები.

ინდივიდუალურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მნგრეველები ნ. გიორგაძე, უ. ხუჯაძე და მებიგე შ. ბერეკაშვილი.

გელათელმა მეშახტეებმა წარმატებით დაიწყეს ნოემბრის გეგმის შესრულება. ნოემბრის პირველი დღეებიდანვე მნიშვნელოვანი გადაჭარბებით სრულდება ქვანახშირის ამოღების სადღეღამისო დავალებები. მათ მტკიცედ გადაწყვიტეს განაგრძონ საოქტომბრო შეჯიბრების პერიოდში აღებული ტემპით მუშაობა ტყვარჩელელ მეშახტეთა მიმართვის პასუხად ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად.

ცემენტი გეგმის გადამეტებით

კასპი. ცემენტის ქარხნის კოლექტივმა წარმატებით გაანაღდა საოქტომბრო შეჯიბრებით ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება—ვადაზე ორი კვირით ადრე 105,6 პროცენტით შეასრულა ათი თვის გეგმა.

შეჯიბრებაში თავი ისახელეს საფქვავი საამქროს მეწისქვილემ ვ. მზარეულაშვილმა, სტახანოველებმა ს. ბერიაშვილმა, გ. აბისონაშვილმა და სხვ. მეცემენტეები იბრძვიან წლიური გეგმის ვადაზე ადრე შესრულებისათვის.

მოწინავე მეორთქლმავლეები

ბოლჯომი. პარტიის XIX ყრილობისადმი მიძღვნილ და საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი ისახელეს ბორჯომელმა მეორთქლმავლეებმა. საორთქლმავლო დეპოს თვითეული მემანქანე, მემანქანის თანაშემწე, ზეინკალი და ხარატი ენერგიის დაუზოგავად შრომობდა ნაკისრ ვალდებულებათა სასახელოდ განაღდებისათვის. ნაყოფიერ შრომას თვალსაჩინო შედეგი მოჰყვა. ბორჯომელებმა წარმატებით შეასრულეს 1952 წლის საწარმოო დავალება, ათ თვეში გეგმის გადამეტებით გარეცხვითი და მოხარატებითი შეკეთებიდან გამოუშვეს 10 ორთქლმავალი, ორთქლმავლების საერთო გარბენის წლიურ გეგმას გადაჭარბეს 39 ათასი კილომეტრით, სადღეღამისო გარბენას გადაამეტეს 21 კილომეტრით, ტექნიკური სიჩქარე საათში გაადიდეს 2 კილომეტრით, 10 თვეში დაზოგეს 126 ტონა სათბობი.

ნოვატორის ბრიგადაში

ბაგრა. სასიხარულო მიღწევებით შეხვდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავს ბაგრის რაიონის სოფელ ხეივნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ის ბრიგადა, რომელსაც თამბაქოს უხვი მოსავლის ოსტატი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ამხ. პროკოფი სვანიძე ხელმძღვანელობს.

ბრიგადის წევრებს ნაკისრი ჰქონდათ ვალდებულება თამბაქოს ჩაბარების წლიური გეგმა 7 ნოემბრისათვის გადაჭარბებით შეესრულებინათ. ეს ვალდებულება უკვე განაღდებულია. ბრიგადის წევრებმა შეტეხეს და ანემესეს 350 ათასი ზონარმეტრი თამბაქო, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 170.000 ზონარმეტრისა, ამასთან 17,5 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბარეს 28 ტონა თამბაქო, რაც წლიური გეგმის 160 პროცენტს შეადგენს.

ბრიგადის წევრებმა პირობა დადეს სამშობლოს გეგმის გადამეტებით 10 ტონა თამბაქო ჩააბარონ.

საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი იმ რგოლებმა, რომლებსაც სოციალისტური შრომის გმირები ეკატერინე წულაია და ალექსანდრე ტერზიანი ხელმძღვანელობენ.

უბრალო ადამიანები

○

დ. ლომთაძე

○

უაღრესად საინტერესო ამბების მოწმეა ყოფილი მაღლაკის ველი. ყოფილი იმიტომ, რომ კარგა ხანია აქ ველის ყოველი ნიშანწყალი გაქრა, მრავალსართულიან სახლთა კვარტალები და დიდი საწარმოს გიგანტური კორპუსები აღმოცენდნენ, მშვიდი იდილიური მყუდროება, რომელსაც მხოლოდ ბაყაყების ყიყინი და სიმინდის ყანების შრიალი არღვევდა, ინდუსტრიულმა ხმაურმა, გოლიათურ მანქანა-დანადგართა დაუდეგარმა ბობოქრობამ შეცვალა. აღარ არსებობს მაღლაკის ჭაობი, აღარ მეერეკებიან მახლობელი სოფლებიდან ჭაობსა და ჭაობს შუა კუნძულებად დარჩენილ მცირე საძოვრებზე შინაურ პირუტყვს.

ყოველივე ეს არავის აკვირვებს, ვინაიდან სტალინური ეპოქის შვილთა მარჯვენის შემოქმედებითი ყოველისშემძლეობის მაგალითები უამრავია ყველა ქალაქში, სოფელში, ჩვენი დიდი სამშობლოს ყოველ შორეულსა და მახლობელ კუნჭულში.

გაიზარდა, დამშვენდა ქუთაისი. ბროწეულამდე და მაღლაკამდე გადაუწვდენია მას თავისი ფრთები, ელვარე ელექტრონათურათა ჰირლანდებით შეუმკია ხეივნიანი ქუჩები, დიდ ინდუსტრიულ საწარმოთა ნაწარმით გაუყორცნია თავისი სახელი შორს, რესპუბლიკის ფარგლებს გადაღმა.

რუსთავში, ბულაჩაურში, უფრო შორს — სტალინგრადჰესის, კუიბიშევჰესის, თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობებზე დიდი სახელი მოიპოვეს ქუთაისის მარკის თვითსაცლელმა ავტომანქანებმა. ემადლიერებიან ავტომძღოლები ქუთაისელ ავტომშენებლებს: ძარის ამწევი მექანიზმი მსუბუქად მუშაობს, მუხრუჭების სისტემა საიმედოა, მძღოლის კაბინი — მოხდენილი, საჭის მართვის სისტემა იმდენად გამარტივებული, რომ მძღოლი მანქანაზე მუშაობისას ნაკლებად იღლება.

ასეთი მშვენიერი მანქანა შექმნეს მაღლაკის ყოფილ ველზე აღმართულ დიდი საწარმოს კორპუსებში — ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში გუშინდელმა სოფლელმა ბიჭებმა, ჭაბუკმა ავტომშენებლებმა. ამ მანქანათა მომხმარებლებისაგან ქარხანაში მოდის მადლობის წერილები. — ერთობ კმაყოფილი ვართ თქვენი ნახელავით, ვაშა თქვენს ახალგაზრდა კოლექტივს, რომ ასე სრულყოფილად აგითვისებიათ და თან მრავალი კონსტრუქციული გაუმჯობესება შეგიტანიათ თვითსაცლელთა წარმოებაში.

— ვისი დამსახურებაა, ვის ეკუთვნის მომხმარებელთა ეს „ვაშა“?.

— არც ერთ ჩვენგანს, ცალკე აღებულს, მაგრამ ყველას ერთად განუყოფლად, მთელ კოლექტივს. ჩვენს ქარხანაში მომუშავე მრავალი ათასი უბრალო ადამიანის დამსახურებაა ეს მადლობა!

ასე ამბობს ქარხნის დირექტორი ბორის ბუკია, რომელსაც პირველი სიტყვებიდანვე მიუხვდება კაცი, რომ უყვარს და უხარია ამ „უბრალო ადამიანებზე“ ლაპარაკი, მათი საგმირო შრომითი საქმეების შესახებ საუბარი. ამომწურავად ილაპარაკებს დირექტორი თვითეულ მათგანზე, თუ მოსაუბრემ გამოიწვია. ამ ქარხანაში მომუშავე ყოველ ავტომშენებელს, როგორც მახლობელი მეგობარი და მესაიდუმლე, პირადად იცნობს იგი, თვითეულის ავანჩავანია, იცის მისი ოჯახური მდგომარეობა, დამახასიათებელი თავისებურება.

* * *

ვლადიმერ ხუჯაძე, ვახტანგ ჩხენკელი, ავთანდილ მაჭარაძე, გივი ჩხენკელი დღეს ქუთაისელ სტახანოველთა სამაყო წარმომადგენლები არ იქნებოდნენ, არავინ იტყოდა მათ შესახებ — საყვარელი ახალგაზრდები არიან, შეუდარებელი ოსტატები, თავაზიანი, კულტურული, მზარდი ადამიანებიო, რომ ქარხნის ხელმძღვანელებს მათს აღზრდაზე და სწავლაზე ესოდენ დიდი შრომა არ გაეწიათ, მშობლიური მზრუნველობა არ გამოეჩინათ.

კოლმეურნეობებიდან მოსული, ჭაბუკობაში ფეხგადადგმული ბიჭები სასწავლებლად გაგზავნეს ქალაქ გორკში. გაუჭირდათ მარადი გაზაფხულის კუთხეში ცხოვრებას შეჩვეულებს სუსხიანი ზამთრის ატანა, ადვილად ვერ შეეთვისნენ ზომიერი სიმკაცრის დისციპლინას.

მაგრამ ამასობაში ხელობის საიდუმლოების პირველი გემო იგემეს, ხელობამ გულაცრუება დაავიწყებინათ, თავის სიღრმეში ჩაითრია ჭაბუკები და ოსტატობამდე მიიყვანა მომავალი ავტომშენებლები.

მოაღწია საქართველოში მათი დაბრუნების დრომ. სინანულით გამოეთხოვნენ ისინი გორკელ მასწავლებლებს.

— სამშობლოს სადიდებელი შრომით გადაგიხდით ჩვენზე გაწეულ ამაგს, — იყო მათი დაპირება.

გაიხსენებენ გორკელები მათი ყოფილი მოწაფეების სიტყვაგაუტეხლობას, როცა ნახავენ ქუთაისიდან გაგზავნილ ავტომობილებს.

ვლადიმერ ხუჯაძე ახლა საინსტრუმენტო ბიუროს ხელმძღვანელობს, ვახტანგ ჩხენკელი ერთ-ერთი საწარმოო განყოფილების უფროსია, ავთანდილ მაჭარაძე უფროს ოსტატად მუშაობს, ხოლო გივი ჩხენკელი — კბილანების განყოფილების უფროსად. მათ მხარში უდგანან ბიჭიკო გურესაშვილი, შოთა ქორჩილავა, ალექსანდრე სამხარაძე, არსენ კვანტრიშვილი, დიდიმ ორბელაძე.

ერთად გაიზარდნენ, ერთად იგემეს ცოდნისა და ოსტატობის სიტკბო, ახლაც ერთად მიდიან წინ დიდების გზაზე.

* * *

...ძლიერ დატვირთული დიდი ავტომანქანის — „ზის-5“-ის უკანა, ჯაჭვებჩაცმული თვლები თავბრუდამხვევი სისწრაფით ბრუნავდნენ, თოვლის ბუღს აყენებდნენ. ძლივს ადიოდა აღმართზე ავტომანქანა, წინ მიიწევდა მხოლოდ იმიტომ, რომ საჭეს მართავდა კუნთებმაგარი, უნარიანი ჭაბუკი-ავტომობილისტი და მანქანა იძულებული იყო დამორჩილებოდა მის ნებას, აღმართი განუწყვეტელი ქაქანით გადაელახა. გრძნობდა ჭაბუკი წამყვანიც მისთვის დაკისრებულ პასუხისმგებლობას მშობლიური კუთხის, მთელი სამშობლოს, დიდი სტალინის წინაშე — მას, ხვანჭკარელ მოხალისე კომკავშირელ მძღოლს, დაავალეს ამ ტვირთის წაღება ულელტეხილს გადაღმა და არა სხვა ვინმეს, რადგან იცოდნენ, რომ ბიჭიკო გურესაშვილი უსათუოდ შეასრულებდა დავალებას, სოჩიბის წვერზე ათასჯერ ნამყოფი და ღერკიეთში ნავარჯიშევი ყმაწვილი სხვებზე უკეთესად შეძლებდა თოვლიანი კბჭკასიონის გადალახვას.

ბრწყინვალედ შეასრულა ამოცანა გურესაშვილმა, დროით მიუტანა ჩვენს მებრძოლებს მტრის გასანადგურებლად საჭირო საჭურველი, მაგრამ თვითონაც ისე მოიქანცა, ისე დაიღალა, რომ მხოლოდ გამოძინების შემდეგ დაუბრუნდა დანაყრების ხალისი.

ამ მძიმე, სახიფათო მგზავრობის დროს გადაწყვიტა ხვანჭკარელმა ჭაბუკმა გამხდარიყო ავტომშენებელი. ავტომანქანის საჭის სისტემა რომ უფრო ადვილი სამართავი ყოფილიყო, ასე არ დაიღლებოდა წამყვანი. განა არ შეიძლება მისი შემსუბუქება?

სამმა წელიწადმა განვლო, სანამ გურესაშვილს ფრონტული ოცნების შესრულების საშუალება მიეცემოდა.

რუსეთიდან განსწავლული რომ დაბრუნდა, იქ, სადაც ახლა მათი საამქროს ბაღნარიანი ეზოა, ვეებერთელა ყუთების მთელი მთები იდგა. ამ ყუთებში ახალ დანადგართა დეტალები ეწყო. საჭირო იყო დეტალების გაწმენდა, მათი შეტანა კორპუსში, ერთმანეთზე მორგება, დამონტაჟება და ასამუშავებლად გამზადება. გურესაშვილი, როგორც უფრო უნარიანი ოსტატი და საუკეთესო ორგანიზატორი, ამ დანადგართა მონტაჟეების ბრიგადირად დანიშნეს, 4 ოსტატი და 30 მემონტაჟე დაუმორჩილეს, ხოლო ვადად 9 თვე დაუწესეს.

ცხრა თვის ნაცვლად 5 თვეში დაამთავრა გურესაშვილის ბრიგადამ დანადგართა მონტაჟი და შეუდგა მათ ათვისებას, საავტომობილო დეტალების გამოშვებას. შემდეგ ინჟინერმა რევაზ თოთიბაძემ, რომელიც ახლა სიჩქარეთა ყუთის საამქროს უფროს ტექნოლოგად მუშაობს, გააბედვინა მას თვითსაცლელი ავტომანქანის ამწეევი ყუთის ათვისებისათვის ხელის მოკიდება. შესანიშნავი წარმატებით აითვისეს გურესაშვილმა და მისმა ამხანაგებმა მანქანის ამ რთული კვანძის გამოშვება. მალე გურესაშვილი ძრავების საამქროს უფროს ოსტატად დაწინაურეს.

დრო მიდიოდა, 1948 წელი დასასრულს უახლოვდებოდა. ქარხანას თანდათან ემატებოდნენ დიდ საავტომობილო ქარხნებში განსწავლული ადამიანები.

შასის საამქროში შეუდგნენ ავტომანქანის სიჩქარეთა ყუთის — ყველაზე რთული საავტომობილო კვანძის ათვისებას. გურესაშვილს ამ საქმეშიც არ უღალატა ალღომ, საქმე ისეთი წარმატებით დაგვირგვინდა, რომ საქვეყნოდ ცნობილი ექსპერტებიც კი გაკვირვებული დარჩნენ. წელიწადზე მეტი ხნის წინათ უფროსი ოსტატი ბიჭიკო გურესაშვილი სიჩქარეთა ყუთის საამქროს უფროსის მოადგილედ დაწინაურეს, ინჟინრის თანამდებობა ჩააბარეს. აქაც გაამართლა მან იმედები და შემდგომი დაწინაურება მიიღო — მთავარი კონვეიერის საამქროს უფროსის მოადგილის პოსტი.

ასეთი გზა განვლო ამ უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ერთმა იმ უბრალო ადამიანმა, რომლის შესახებაც მშობლიური სიყვარულით ლაპარაკობენ ქარხანაში.

ასეთივე გზა განვლეს ვახტანგ ჯორბენაძემ — ავტომატური ჩარხების საამქროს უფროსმა, ევგენი კოხრეიძემ— მისმა მოადგილემ, შოთა ჭოხონელიძემ — თერმიული საამქროს უფროსმა ოსტატმა, სერგი სიხარულიძემ და მერაბ კოპალეიშვილმა — ქარხნის ახალგაზრდა კონსტრუქტორებმა, გიგლა მანჯგალაძემ — ძრავების საამქროს უბნის უფროსმა, სერგი ჯიქიამ, ვახტანგ მიქელაძემ, გივი კარანაძემ...

* * *

ფართოვდება, იზრდება, ინდუსტრიული დაფაქაცების ასაკში შედის ჩვენი რესპუბლიკის ახალი სიამაყე და მაღლაკის ყოფილი ველის მშვენება— ქუთაისის საავტომობილო ქარხანა. მის უზარმაზარ საწარმოო კორპუსებში ერთი წუთითაც არ ნელდება გოლიათურ დანადგართა ზუზუნი, ამწე მექანიზმთა რახრახი, ელექტროურიკათა გრიალი. განუწყვეტლივ მოძრაობს მთავარი კონვეიერი, დინჯად, აუჩქარებლად მიეზიდება იგი სხვადასხვა საამქროებიდან მოსული დეტალებისაგან აწყობილ ავტომობილებს ვრცელი მიმღები მოედნისაკენ, ხოლო გვერდით რკინიგზის ჩიხში ჩამომდგარ პლატფორმებიან მატარებელზე უკვე იტვირთება ავტომობილთა მთელი კოლონა.

საექსპერიმენტო საამქროდან ორი მანქანა გამოიყვანეს. ორივე ორიგინალური, საკუთრივ ქუთაისური. ერთი თვითსაცლელი — ჩვენი დიადი მშენებლობებისათვის, ხოლო მეორე — ჩვეულებრივი სატვირთო, რომელზეც უკვე განხორციელებულია ხვანჭკარელი ყოფილი მოხალისე ფრონტელის ძველი ოცნებაც და კიდევ დამატებით მრავალი სხვა გაუმჯობესება. არა არის რა შეუძლებელი დიდი ოქტომბრის რევოლუციის ქვეყანაში, სადაც იზრდებიან, შრომობენ და ცხოვრობენ ახალი ცხოვრების შემოქმედი უბრალო ადამიანები, კომუნიზმის მშენებლები.

ისინი წინ იხედებიან. მათ საამქროთა სიმაღლიდან ჩანს არა მარტო გოროზი კავკასიონი და მისი ქათქათა თეორი მწვერვალები. ისინი ხედავენ სხვა მწვერვალებსაც — კომუნიზმის ელვარე მწვერვალებს. იქითკენ მიილტვიან ბიჭიკო გურესაშვილი და მისი ამხანაგები, რომლებიც პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებით და დიდი სტალინის ისტორიული სიტყვით აღფრთოვანებულნი ყველაფერს აკეთებენ სამშობლოს სადიდებლად.

ორი სამყარო — ორი შედეგი

35 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც კრეისერმა „ავრორამ“ ზამთრის სასახლისაკენ მიმართული ზარბაზნების ქუხილით ქვეყანას ამცნო, რომ დაიწყო ახალი ერა — პროლეტარული რევოლუციების ერა.

ლაპარაკობდა რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საერთაშორისო ხასიათზე, ამხანაგი სტალინი მიგვითითებდა: „ახლა უკვე აღარ შეიძლება მსოფლიოს მშრომელ მასებს უყურონ როგორც „ბრმა ბრბოს“, რომელიც ხეტიალობს წყვდიადში და მოკლებულია პერსპექტივებს, ვინაიდან ოქტომბრის რევოლუციამ შექმნა მათთვის შუქურა, რომელიც უნათებს მათ გზას და აძლევს პერსპექტივებს“.

ოქტომბრის რევოლუციამ გაარღვია საერთაშორისო იმპერიალიზმის ფრონტი და ძირფესვიანად შეცვალა ძალთა თანაფარდობა საერთაშორისო ასპარეზზე პროლეტარიატის სასარგებლოდ. მსოფლიო გაიყო ორ სისტემად: კაპიტალისტურ და სოციალისტურ სისტემებად.

საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის 35 წელმა მთელი მსოფლიოს ხალხებს უჩვენა მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის საზოგადოების გარდაქმნის ბრწყინვალე მაგალითი.

კაცობრიობის ისტორიაში პირველად შეიქმნა ისეთი საზოგადოებრივი წყობილება, სადაც სამუდამოდ მოისპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, შეიქმნა წყობილება, რომლისთვისაც უცხოა კრიზისები, უმუშევრობა და მასების გაღატაკება, წყობილება, სადაც ყველა მშრომელს შექმნილი აქვს პირობები შეძლებული და კულტურული ცხოვრებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მტკიცედ და დარაზმულად მიჰყავს საბჭოთა ხალხი სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის მეუნელებელი განვითარების გზით. 1951 წელს ჩვენი მრეწველობის პროდუქციის საერთო მოცულობამ ორჯერ და უფრო მეტად გადააჭარბა 1940 წლის დონეს. დიდ წარმატებებს მიაღწია აგრეთვე სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ. მიმდინარე წელს მარცვლეულის საერთო მოსავალი შეადგენს რვა მილიარდ ფუთს.

პარტია, საბჭოთა სახელმწიფო განუხრელად ზრუნავენ ხალხის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობისა და ჯანმრთელობისათვის. 1940 წლიდან 1951 წლამდე საბჭოთა კავშირის ნაციონალური შემოსავალი 83 პროცენტით გადიდდა. ჩვენს ქვეყანაში მთელი ნაციონალური შემოსავალი მშრომელთა კუთვნილებაა.

სულ უფრო ფართოვდება უმაღლეს და საშუალო სასწავლებელთა ქსელი. ამჟამად საბჭოთა კავშირის 887 უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს 1.400.000 კაცი. ჩვენს ქვეყანაში ახლა მუშაობს ყველა ტიპის 368 ათასი ბიბლიოთეკა, დღითიდღე ვითარდება და დიდ წარმატებებს აღწევს საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება. გადიდდა სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების რიცხვი, 1947-1952 წლების განმავლობაში მოხდა სახელმწიფო საცალო ფასების ხუთგზის შემცირება, ამასთან მნიშვნელოვნად გაზარდა მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი და გლეხთა ფულადი და ნატურალური შემოსავალი. ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურის ზრდის საქმეში მიღწეულ წარმატებებს საბჭოთა ხალხი უმადლის კომუნისტურ პარტიას, პროგრესული კაცობრიობის ბელადს დიდ სტალინს. „საბჭოთა ადამიანის სიკეთე, —განაცხადა პარტიის XIX ყრილობაზე ამხ. მალენკოვმა, — საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა უმაღლესი კანონია ჩვენი პარტიისათვის“.

რა ხდება კაპიტალისტურ სამყაროში?

სულ უფრო მწვავდება კლასობრივი კონფლიქტები, იქ ეკონომიკა მიეჭანება უფსკრულისაკენ, იზრდება უმუშევართა მილიონიანი არმიები. ამჟამად იტალიაში 2 მილიონზე მეტი მთლიანად უმუშევარია და უფრო მეტი ნაწილობრივ უმუშევარი; დასავლეთ გერმანიაში 3 მილიონამდე მთლიანად და ნაწილობრივ უმუშევარია; ამერიკის შეერთებულ შტატებში მთლიანად უმუშევართა რიცხვმა მიაღწია 3 მილიონს, ხოლო ნაწილობრივ უმუშევართა რიცხვმა 10 მილიონს. უმუშევართა რიცხვი სულ უფრო იზრდება აგრეთვე ინგლისსა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

კაპიტალისტური ქვეყნების დრაკონული კანონები ახშობენ ყოველივე პროგრესულს. დღითიდღე უარესდება მშრომელთა მასების საყოფაცხოვრებო პირობები, მატულობს გადასახადები, იზრდება ფასები მასობრივი მოხმარების საგნებზე, მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი კი დიდად მცირდება. საფრანგეთსა და იტალიაში მშრომელთა რეალური ხელფასი 1952 წელს ომამდელი დონის ნახევარზე ნაკლებს შეადგენს. ამერიკის შეერთებულ შტატებში 15 მილიონამდე ოჯახი ჯურღმულებში ცხოვრობს, 250 ათასს კი საერთოდ არა აქვს არავითარი თავშესაფარი. კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებული ამ აუტანელი პირობების გამო დღითიდღე იზრდება მშრომელთა უკმაყოფილება, მწვავდება კლასობრივი ბრძოლა, დიდდება გაფიცვების რიცხვი. ფოლადმდნობელთა გაფიცვაში, რომელიც ამას წინათ მოეწყო ამერიკის შეერთებულ შტატებში, მონაწილეობა მიიღო 650.000 კაცმა.

კაპიტალისტური ქვეყნების მმართველი წრეები არსებული შეურიგებელი წინააღმდეგობებიდან გამოსავალს, ეკონომიური კრიზისებიდან გამოსავალს ეძებენ ახალი მსოფლიო ომის გაჩაღებაში. ამერიკელი მილიარდერები და მილიონერები დიდ მოგებას იღებენ კორეის ხალხის წინააღმდეგ გაჩაღებულ ომში. ამერიკელი ომის გამჩაღებლები მსოფლიო ბატონობისაკენ მიისწრაფვიან. როგორც ეტყობა, მათ ავიწყდებათ ბედი მსოფლიო ბატონობის გერმანელი პრეტენდენტებისა. საბჭოთა ხალხის გამარჯვება დიდ სამამულო ომში მრისხანე გაფრთხილებაა მსოფლიო ბატონობის ახალი პრეტენდენტებისათვის. ამ გამარჯვებამ განუზომლად გაზარდა სოციალიზმის ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტი. მეორე მსოფლიო ომში კაპიტალისტურმა სისტემამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა: კაპიტალისტურ სამყაროს სამუდამოდ ჩამოსცილდნენ ევროპისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნები, რომელთა ხალხებმა საბჭოთა არმიის დახმარებით სახალხო დემოკრატიის რეჟიმი დაამყარეს.

ყველაზე დიდი და გამანადგურებელი დარტყმა იმპერიალიზმისათვის იყო გამარჯვება დიდი ჩინელი ხალხისა, რომელმაც მოიშორა უცხოთის იმპერიალიზმის უღელი და თავისი ქვეყანა სახალხო რესპუბლიკად გამოაცხადა.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები, რომლებიც განთავისუფლდნენ კაპიტალისტური ექსპლოატაციისაგან, მტკიცედ დაადგნენ სოციალისტური ცხოვრების გზას. ფაბრიკა-ქარხნებში და სოფლად იზრდება და ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ზრდასთან და განმტკიცებასთან ერთად ყოველდღიურად უმჯობესდება ამ რესპუბლიკების მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ისტორიას ჩაბარდა უმუშევრობა და ეკონომიური კრიზისები.

სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოები თავიანთ შემდგომ განვითარებას სოციალიზმისაკენ საფუძვლად უდებენ მეგობრობასა და თანამშრომლობას საბჭოთა კავშირთან, რომელიც მთელ მსოფლიოში სოციალიზმის, დემოკრატიისა და მშვიდობის ბანაკს მეთაურობს.

ეს ფაქტები ნათლად გვიჩვენებს, თუ რა განუზომელი უპირატესობანი აქვს სოციალისტურ სისტემას კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით.

სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკის ეს წარმატებანი ცოფსა ჰგვრის ამერიკელ-ინგლისელ ახალი ომის გამჩაღებელთა. ისინი ყოველნაირად ცდილობენ გააფართოონ თავიანთი აგრესიული მაქინაციები, მსოფლიოს ყველა ნაწილში ჰქმნიან ახალ სამხედრო ბაზებს, აფართოებენ ყველა სახის სამხედრო იარაღის წარმოებას, მიმართავენ მუქარას, დაშინებას.

საბჭოთა სახელმწიფოს, რომელიც ერთგულია თავისი მშვიდობისმოყვარე პოლიტიკისა, არ ეშინია იმპერიალისტთა მუქარისა. იგი შეუპოვარ ბრძოლას ეწევა ომის აცილებისა და მშვიდობის შენარჩუნებისათვის, ყველა ზომას იღებს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის გაძლიერებისათვის.

დიდი სტალინის ისტორიული სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა პარტიის XIX ყრილობაზე, დიდი საბრძოლო პროგრამაა მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიებისათვის. დიდი ბელადის სიტყვა რაზმავს ჩვენს მოძმე ხალხებს ნათელი მომავლისათვის საბრძოლველად, ახალი ომის გაჩაღების წინააღმდეგ საბრძოლველად, მშვიდობის შენარჩუნებისათვის საბრძოლველად, აიარაღებს მათ უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის დიადი პროგრამით.

სულ უფრო მძლავრად გაისმის ხალხების ხმა მშვიდობის დასაცავად, სულ უფრო ფართოვდება მშრომელთა მოძრაობა დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის, სულ უფრო მაღლა ფრიალებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ძლევამოსილი დროშა.

მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკი უძლეველია.

მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე!

გ. ტატიშვილი.

ამერიკელთა სამხედრო მანევრები დასავლეთ ევროპაში

ვენა, 4 ნოემბერი. (საკდესი). გაზეთ „დერ აბენდის“ ცნობით, ზალცბურგსა და ზემო ავსტრიაში დაიწყო ამერიკელთა საოკუპაციო ჯარების მანევრები.

როგორც გაზეთი აღნიშნავს, მანევრების პირველ დღეებშივე მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს ადგილობრივ მოსახლეობას.

საბჭოთა მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი

სსრ კავშირის საელჩომ ვაშინგტონში 4 ნოემბერს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის ნოტა:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საელჩო საბჭოთა მთავრობის დავალებით აცხადებს შემდეგს:

ამერიკის შეერთებული შტატების პრესის ცნობით, ამა წლის 27 სექტემბერს გამოცხადებული იყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო სამინისტრომ კორეის ნახევარკუნძულის გარშემო შექმნა ეგრეთწოდებული საზღვაო თავდაცვითი ზონა, რომელშიც შედის კორეის ტერიტორიული წყლები და გაშლილი ზღვის მნიშვნელოვანი სივრცეები, რომ ეს ზონა იქნება შორეულ აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლის გამგებლობაში და რომ ამ ზონაში შესული ყოველი გემი, მიუხედავად მისი ეროვნული კუთვნილებისა, გაჩხრეკილ იქნება.

როგორც ცნობილია, 1950 წლის ივლისში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ კორეის სანაპიროს საზღვაო ბლოკადის დაწესებასთან დაკავშირებით, სსრ კავშირის მთავრობა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი თავის 1950 წლის 6 ივლისის ნოტაში აღნიშნავდა, რომ ასეთი ბლოკადის დაწესება აგრესიის აქტია და რომ ეს ბლოკადა ისევე შეუთავსებელია გაერთიანებული ერების პრინციპებთან, როგორც შეერთებული შტატების მთელი შეიარაღებული ინტერვენცია კორეაში.

„საზღვაო თავდაცვითი ზონის“ დაწესება არსებითად არის ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ 1950 წელს უკანონოდ შემოღებული კორეის სანაპიროს საზღვაო ბლოკადის გაფართოება და, მაშასადამე, შორეულ აღმოსავლეთში აგრესიის ახალი აქტი, რაც ერთხელ კიდევ მოწმობს იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა არათუ არ ცდილობს კორეის ომის შეწყვეტას, არამედ ადგას აგრესიის ახალი აქტების გზას. ასეთი ზონის დაწესება წარმოადგენს გაშლილ ზღვაში სავაჭრო ზღვაოსნობის თავისუფლების დარღვევას და ამით საბჭოთა კავშირისა და სხვა სახელმწიფოების უფლებათა დარღვევას.

საბჭოთა მთავრობას კანონიერად არ მიაჩნია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ კორეის გარშემო ეგრეთწოდებული საზღვაო თავდაცვითი ზონის დაწესება და მთელ პასუხისმგებლობას ამ ახალი აგრესიული აქტის შედეგებისა და იმ ზარალისათვის, რომელიც ამან შეიძლება მიაყენოს საბჭოთა კავშირის ინტერესებს, აკისრებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას“.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის აქტივის სრულიად პოლონეთის კრება

ვარშავა, 4 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ვარშავაში გაიმართა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის პარტიული აქტივის სრულიად პოლონეთის კრება. კრებამ მოისმინა მოხსენება პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის დელეგაციისა, რომელიც წარგზავნილი იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე.

შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის ბოლესლავ ბერუტისა და დელეგაციის სხვა წევრების გამოჩენას პრეზიდიუმში.

მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის შესახებ და ი. ბ. სტალინის შრომის — „სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში“ — ისტორიული მნიშვნელობის შესახებ გააკეთა ბოლესლავ ბერუტმა.

აქტივის კრებაზე მოხსენებები გააკეთეს აგრეთვე პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა ედვარდ ოხაბმა და ფრანციშეკ მაზურმა.

ჰოლანდიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ჰაგა, 4 ნოემბერი. (საკდესი). გაიმართა ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელზეც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მუშაობისა და გადაწყვეტილებათა შესახებ მოხსენება გააკეთა ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა დე გროოტმა.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 4 ნოემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღეს გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეებთან ერთად კვლავ თავდაცვითს ბრძოლებს ეწევიან კიმჩვის რაიონში და სერიოზულ დარტყმებს აყენებენ იერიშზე გადმოსულ მოწინააღმდეგეს.

მოწინააღმდეგის დაახლოებით 4 ბატალიონმა ავიაციის დიდი ძალების და 30-ზე მეტი ტანკის დახმარებით ბევრჯერ მოიტანა გააფთრებული იერიში და ცდილობდა ხელში ჩაეგდო მაღლობი, რომელიც სახალხო ჯაოებს უკავიათ. მოწინააღმდეგე უკუგდებულ იქნა.

3 ნოემბერს ღამით ამერიკის ავიაციამ ბარბაროსულად დაბომბა დასახლებული პუნქტები ფხენიანის მიდამოებში, სადაც არავითარი სამხედრო ობიექტი არ მოიპოვება. თავდასხმის შედეგად დაიღუპა 150 ბავშვი, მოხუცი და ქალი

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 5 თვითმფრინავი.

ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესისათვის მზადება ბელგიაში

ბრიუსელი, 4 ნოემბერი. (საკდესი). ბელგიის მშვიდობის დაცვის კავშირის მოწოდებით 3 ნოემბერს ბელგიაში დაიწყო მშვიდობის დაცვის ორკვირეული. იგი მიმდინარეობს ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესისათვის აქტიური მზადების ნიშნით მთელ ბელგიაში — საწარმოებში, შახტებში, ქალაქებს საცხოვრებელ უბნებსა და მუშათა დაბებში — იმართება კონგრესისათვის მომზადებისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი კრებები და მიტინგები. ათასობით აქტივისტი — მშვიდობის მომხრე განუმარტავს ხალხს მომავალი კონგრესის მნიშვნელობას, აგროვებს სახსრებს მისი მოწყობისათვის.

როგორც გაზეთი „დრაპო რუჟი“ იუწყება, დიდ სამრეწველო ცენტრ შარლერუაში მშვიდობის დაცვის ორკვირეული დაიწყო მასობრივი მიტინგით, რომელიც გაიმართა ელექტროტექნიკურ ქარხანა „ისესის“ მახლობლად. ქარხნის მუშებმა მხურვალედ მოიწონეს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრის იზაბელა ბლიუმის გამოსვლა, რომელმაც მოუწოდა დამსწრეთ გააძლიერონ აქტივობა მშვიდობისათვის და კონგრესის მომზადებისათვის ბრძოლაში.

ბელგიის მოსახლეობის სულ ახალი ფენები იწონებენ მოწოდებას ხალხთა მშვიდობის კონგრესის მოწვევის შესახებ. მშვიდობის მომხრეთა ამ ინიციატივას მხარს უჭერენ საწარმოებისა და შახტების მშრომელთა კოლექტივები, პროგრესული პროფკავშირები და სხვა მასობრივი ორგანიზაციები.

სურათზე: ციტრუსების კრეფა გულრიფშის რაიონის სოფელ მაჭარას ი. ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობაში.

ბრძანება

თბილისის გარნიზონის ჯარებისადმი

1952 წლის 6 ნოემბერი № 34 ქალაქი თბილისი

1952 წლის 7 ნოემბრის პარადის შესახებ

§ 1.

1952 წლის 7 ნოემბერს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავის დღეს, ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანზე ინიშნება თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი.

§ 2.

პარადს მიიღებს არმიის გენერალი ამხ. ანტონოვი.

§ 3.

პარადის სარდლობა ნაბრძანები მაქვს მე.

§ 4.

პარადის დასაწყისი 9.00 საათზე მოსკოვის დროით.

§ 5.

პარადზე გამოყვანილ იქნან სამხედრო სასწავლებლები და ჯარის ნაწილები განსაკუთრებული გეგმით.

§ 6.

ტანსაცმლის ფორმა საპარადო.

§ 7.

ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანზე ჯარების დაწყობა დამთავრდეს 8 საათსა და 30 წუთზე.

§ 8.

პარადის დროს წესრიგის დაცვის ხელმძღვანელობას ვაკისრებ თბილისის გარნიზონის სამხედრო კომენდანტს პოლკოვნიკ ამხ. ჟუდიძეს და ქალაქ თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსს სახელმწიფო უშიშროების მაიორს ამხ. ცერცვაძეს.

თბილისის გარნიზონის უფროსი გენერალ-მაიორი ჟუშარაძე.

საქართველოს X ჩემპიონატი ცხენოსნობაში

8 ნოემბერს ქუთაისის იპოდრომზე გაიხსნება საქართველოს X პირად-გუნდური ჩემპიონატი ცხენოსნობაში ლ. პ. ბერიას სახელობის თასის მოსაპოვებლად. ეს შეჯიბრება იქნება მიმდინარე სპორტული სეზონის ერთ-ერთი საინტერესო ასპარეზობა, რომელიც ერთ კვირას გაგრძელდება.

ცხენოსნობას დიდი ხნის ისტორია აქვს ჩვენში. სპორტის ამ წარმტაცმა სახეობამ განსაკუთრებით ფართო განვითარება ჰპოვა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. საქართველოს ცხენოსნებს არაერთხელ უსახელებიათ თავი საკავშირო ასპარეზობაში. ქართველმა ცხენოსნებმა საერთო მოწონება დაიმსახურეს მოსკოვში, ისინი ორი წელია ზედიზედ ინარჩუნებენ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტის გარდამავალ ჯილდოს—თასს ცხენბურთში. ჩეხოვში მაღალი ოსტატობით საბჭოთა კავშირის 1952 წლის ჩემპიონის წოდება მოიპოვა გუდაუთელმა კოლმეურნემ ზ. ანშბამ.

პირველობის გათამაშებისათვის მზადება დიდი ხანია დაიწყო. გამოვლენილია დასავლეთის ასპარეზობაში მონაწილე გუნდები. რომლებიც დაკომპლექტებულია საუკეთესო ცხენოსნებით. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ზუგდიდის, ფოთის, ცხაკაიას და წალენჯიხის რაიონების, აფხაზეთისა და აჭარის, სამხრეთ ოსეთის, სასპორტო საზოგადოება „სპარტაკის“, „კოლმეურნისა“ და სხვა გუნდები. პროგრამაში: მრავალქიდი, დოღი, ასინდი, ცხენბურთი, მარული და ცხენოსნური სპორტის სხვა სახეობები.

შეჯიბრებაზე დასასწრებლად მოწვეული არიან სტუმრები მოსკოვიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

სომხური დრამის თეატრის ახალი სპექტაკლი

სომხური დრამის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს უჩვენა მიმდინარე სეზონის პირველი ახალი სპექტაკლი — სომხური ლიტერატურის კლასიკოსის ვ. ფაფაზიანის პიესა „ალდე“.

სპექტაკლი დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ფ. ბეიოანმა, გაფორმა მხატვარმა მ. კირაკოსიანმა. მთავარ როლებს ასრულებენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ა. ბეროიანი, ა. ლუსინიანი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი დ. ამირბეკიანი, მსახიობები ბ. ნერსესიანი, ე. სტეპანიანი და სხვ.

სტანდარტული საცხოვრებელი სახლები რკინიგზელებს

ხაშური. (საკ. კორ.). ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის შენობათა და ნაგებობათა დისტანციამ მიიღო რამდენიმე სტანდარტული საცხოვრებელი სახლი რკინიგზელებისათვის. ეს სახლები უკვე აშენებული და დადგმულია. მათში ამას წინათ შეასახლეს მოწინავე რკინიგზელთა ოჯახები.

სტანდარტული საცხოვრებელი სახლები რკინიგზელებს გადაეცათ ღირებულების 50 პროცენტის ფასად, თანხის ათი წლის ვადაში გადახდის პირობით.

ხილი სამრეწველო ქალაქებს

ქარელი. (საკ. კორ.). რაიკოოპკავშირის დამზადების კანტორამ დაამზადა 125 ტონა თესლოვანი და 82 ტონა კურკოვანი ხილი.

დამზადებული ხილიდან 20 ტონა კარგი ხარისხის ხილი გაიგზავნა ქალაქ მოსკოვში, 38 ტონა გაეგზავნა სოჭის კურორტვაჭრობას, 12 ტონა თბილისის ხილბოსტნეულვაჭრობას, ხოლო დანარჩენი გადაეცა გორის საკონსერვო ქარხანას.

ავტომანქანები კოლმეურნეობებისათვის

ცეკავშირმა მიიღო ავტომანქანების „გაზ-51“ ახალი პარტია—23 მანქანა, რომლებსაც მიჰყიდის რესპუბლიკის კოლმეურნეობებს სადღესასწაულო ვაჭრობის დღეებში.

საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლი საგასტროლოდ გაემგზავრა

3 ნოემბერს საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი სტალინური პრემიის ლაურეატების საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ი. სუხიშვილისა და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ნ. რამიშვილის ხელმძღვანელობით საგასტროლოდ გაემგზავრა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

რედაქტორის მოადგილე

ი. ნატროშვილი.

საქართველოს რადიოგადაცემათა 7 ნოემბრის პროგრამა

რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით: 06.20 — სიმღერები და მარშები; 07.30 — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავისათვის; 12.00 — მშრომელთა დემონსტრაციის ტრანსლაცია მოსკოვიდან და თბილისის ბერიას სახელობის მოედნიდან; 16.30 — ქართული ხალხური სიმღერები; 17.00 — გადაცემა, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავისადმი; 19.10—მოძმე რესპუბლიკათა მშრომელების მისალმებანი; 21.10 — საესტრადო კონცერტი; 00.10—საცეკვაო მუსიკა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს რენტგენოლოგიის კათედრის ასპირანტურაში ჩასარიცხავად.

ასპირანტურაში ჩარიცხვის მსურველმა უნდა შემოიტანოს განცხადება დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით (ორ ცალად): კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ასლი, დახასიათება მუშაობის ადგილიდან, ცნობა სამხედრო ვალდებულებისადმი დამოკიდებულების შესახებ და ორი ფოტოსურათი.

გამოცდები იწარმოებს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში, სპეციალურ დისციპლინაში, რუსულ ენასა და ერთ-ერთ უცხო ენაში.

კონკურსის ვადა 10 დღეა დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

საქართველოს სსრ დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი, პარტორგანიზაცია და პროფორგანიზაცია იუწყებიან პრეზიდიუმის წევრის **ვალერიან იაკობის-ძე ტოგონიძის** გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის **ვალერიან იაკობის-ძე ტოგონიძის** გარდაცვალებას.

მეუღლე ანა, შვილები აკაკი, ქსენია, ტატიანა, ნინო, მარგარიტა, რძალი ნანა იუწყებიან **არჩილ გლახოს-ძე ხხირტლაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 8-XI, 7 ს. გამოსვენება 9-XI, 3 ს. რაზმაძის ქ. № 66.

საქართველოს კ. პ. წყალტუბოს რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის მუშაკები იუწყებიან **ვალერიან იაკობის-ძე ტოგონიძის** გარდაცვალებას.

შვილები ერეკლე, თამარ, ქეთევან. ელიზბარ, რძლები მარიამ, ლუბა, სიძე ა. ლომთათიძე, შვილიშვილები ჯუანშერ, ნანა, გელა, თეიმურაზ იუწყებიან **ისაკი ადამის-ძე კანდელაკის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6-XI, 7 ს. გამოსვენება 8-XI, 3 ს.

ეკატერინე, ევნია, ნინო, ცეცილია, დარიკო დოლენჯაშვილები, ვ. მირიანაშვილი, ა. ხვთისიაშვილი, შ. პაპუაშვილი იუწყებიან სიძის და ბიძის **ვიქტორ სიმონის-ძე იაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 8-XI, 8 ს. გამოსვენება 9-XI, 2 ს. ვეძინის ქ. № 17.

შვილი ვარლამ, რძალი ლუბა, შვილიშვილები ალექსანდრე, ირა იუწყებიან წ. ო. **შერვაშიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 9-XI ს. ორსანტიაში (ზუგდიდის რ.).

ყრუმუნჯთა სკოლა-ინტერნატის თანამშრომლები იუწყებიან ექიმ **გიორგი ივანეს-ძე თამამშვილის** გარდაცვალებას.

ძმები შალვა, სამსონ, ონისიმე გოგლიძეები, რძლები ფატი, ეფროსინე, ევდოსია, სიძე გიორგი, დები ეფროსინე, ნატო, ევა, ლიზა ოჯახებით იუწყებიან **სოფიო ლუკას ასულ გოგლიძე-კობერიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 6-XI, 4 ს. ჯაფარიძის ქ. № 20.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სანინაო სამმართველოს „ბინმომარაგების“ თანამშრომლები იუწყებიან **ვიქტორ სიმონის-ძე იაშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე როზა, შვილები გიორგი, ანიკო, ეთერ, რძალი ქეთევან, სიძეები კონსტანტინე ჭურაძე და სერგო ლორთქიფანიძე, შვილიშვილები ალექსანდრეს ლონდა, თამაზ, ცისანა, მანანა იუწყებიან **ალექსი სტეფანეს-ძე ტატაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-XI ბორჯომ-ბაღში.

თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის თანამშრომლები იუწყებიან საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილის **ვალერიან იაკობის-ძე ტოგონიძის** გარდაცვალებას.

რედაქციის, გამოცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06--88, **განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების—3-81-84, პროპაგანდის—3-57-61, მრეწველობის—3-81-81, სოფლის მეურნეობის—3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, ადგილობრივი ინფორმაციისა და უცხოეთის ინფორმაციის—3-80-83, კულტურისა და ყოფაცხოვრების, კორესპონდენტთა ქსელის, საქმეთა მმართველობის—3-80-34, მშრომელთა წერილების—3-73-24, განცხადებების — 3-51-81, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ფფ 05351

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.